

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებაში სახელმეთო ტრანსპორტის სექტორის ანალიზი: ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა შიდა გადაზიდვებსა თუ გადაყვანებში და აღსრულების პროცესის დაწყება

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების
ხელშეკრულებაში სახმელეთო ტრანსპორტის
სექტორის ანალიზი: ციფრული ტექნოლოგიების
დანერგვა შიდა გადაზიდვებსა თუ გადაყვანებში
და აღსრულების პროცესის დანერგვა

პოლიტიკის დოკუმენტის რევიზია

ავტორები: ირაკლი იზორია, გელა კვაშილავა, ეკატერინე ლალიაშვილი



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორები: ირაკლი იზორია, გელა კვაშილავა, ეკატერინე ლალიაშვილი

რედაქტორი: თეა ბარამაშვილი

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების VI თავი ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს და მისი მიზანია: საქართველოსა და ევროკავშირის სატრანსპორტო სექტორების ერთმანეთთან დაახლოება, ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, ქართული კომპანიებისთვის, მძღოლებისთვის ევროპაში არსებული ტექნიკური და ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნა, საქართველოს გზებზე საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება, საქართველოს სატრანსპორტო ქსელის დახვეწა, მგზავრებისა და ტვირთების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა და ტრანსპორტის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება. ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული 24-ე დანართის „საგზაო ტრანსპორტის“ თავში გათვალისწინებულია 12 რეგლამენტი და დირექტივა. მათ შესრულებაზე პასუხისმგებელია სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო.

სატრანსპორტო სფეროში უსაფრთხოების რეგულაციების გაუმჯობესება და ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოება ხელს შეუწყობს ტრანსპორტის სფეროზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების გაძლიერებას, იქ დასაქმებული ადამიანების ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია ფართო საზოგადოების, მედიის, ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმირებულობის გაზრდა ამ საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს ტრანსპორტის სფეროში ევროპასთან თანდათანობით ინტეგრაციას, ჩვენი სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციას, საგზაო მოძრაობაში მონაწილე ყველა სუბიექტის – შპმ პირების, ქვეითად მოსიარულეთა და ბავშვების უფლებების დაცვას. ამასთან, საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა საქართველოს საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში და გახდეს მისი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსის მიმღები ქვეყანა. ასოცირების შეთანხმება ტრანსპორტის კუთხით ევროპულ კანონმდებლობაში არსებული ოთხი ძირითადი პირობის შესრულებას მოითხოვს, ესენია: ტექნიკური, უსაფრთხოების, სოციალური და ფინანსური პირობები. ტექნიკური პირობების შესრულებისას მთავარი მოთხოვნა საავტომობილო ტრანსპორტის, კერძოდ, სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების (9-ზე მეტი ადამიანი) ავტომობილებზე სიჩქარის შეზღუდვის მოწყობილობის დამონტაჟება და გამოყენებაა. გადაჭარბებული სიჩქარე საქართველოში საგზაო ავარიების ძირითად მიზეზს რომ წარმოადგენს, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რაც ოფიციალური სტატისტიკითაც დასტურდება. მეტიც, სამწუხაროდ, სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების ტრანსპორტზე მოდის საქართველოში ავტოავარიებისას მძიმედ დაშავებულთა და ფატალური შემთხვევების უმეტესი ნაწილი. საქართველო ყოველწლიურად ასეულობით მილიონ ლარს კარგავს საგზაო ავარიების შედეგად.

მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისა და ტვირთების უსაფრთხო გადაადგილებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტაქოგრაფების გამოყენებას. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის N187 ბრძანებულებით, საქართველო შეუერთდა „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ“ 1970 წლის პირველ ივლისს ჟენევაში ხელმოწერილ ევროპის შეთანხმებას (AETR). ამ შეთანხმებით დადგენილია პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო გადაზიდვებზე დასაქმებული მძღოლები, განსაზღვრულია მათთვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ყოველდღიური, უწყვეტად მართვის მაქსიმალურად დასაშვები, ყოველდღიური და ყოველკვირეული ჯამური მართვისა და დასვენებისა და შესვენების დროების დასაშვები ხანგრძლივობები. ციფრული ტაქოგრაფი ერთადერთი მექანიზმია, რომელსაც შეუძლია გააკონტროლოს მძღოლის სამუშაოს ხანგრძლივობა, ანუ მისი დახმარებით გავიგებთ, რომ მძღოლი დღეში 10-11 საათს არ მუშაობს, რაც საქართველოში ხშირად ხდება. ამისი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მძღოლსაც და კომპანიასაც ეჩქარება დანიშნულების ადგილზე სწრაფად მისვლა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის გზებზე არსებულ უსაფრთხოების რისკს.

წინამდებარე ნაშრომში აღწერილია მგზავრთა და ტვირთების უსაფრთხო გადაადგილების კუთხით ქვეყანაში დღეს არსებული პრობლემები, მიმოხილულია საერთაშორისო გამოცდილება და სტატისტიკა ქვეყანაში არსებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ციფრული ტაქოგრაფების სრულად დანერგვა და გამოყენება შიდა გადაზიდვა-გადაყვანებში გაზრდის მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანას და ტვირთების უსაფრთხო გადაადგილებას; შეამცირებს სიჩქარის გადაჭარბებითა და მძღოლის გადაღლით გამოწვეულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს გზებზე, რომელიც ყოველწლიურად მზარდი სტატისტიკით გვევლინება. ციფრული ტაქოგრაფების გამოყენებას ადგილობრივ გადაყვანებში ექნება რამდენიმე პოზიტიური ეფექტი: შემცირდება გარდაცვლილი და დაღმავებული ადამიანების რაოდენობა, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდება ჯანდაცვის კუთხით ტრავმირებული ადამიანების მკურნალობასა და რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯები, შემცირდება გადამზიდავი კომპანიების ფინანსური დანახარჯები. ნაშრომში შემოთავაზებულია როგორც პრობლემის გადაჭრის ორი ალტერნატიული გზა, ისე მისი იმპლემენტაციის შესაძლებლობები.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა
ტელ.: +995 32 293 11 28
მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28
ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge
ვებგვერდი: eap-csf.ge